საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, ჩერქეზიშვილის ქ. № 49

საპროექტო სახლი

შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნეები – გია ჭანიშვილი,
ხათუნა ჭურღულია

შ.პ.ს.
„ძველი უბანი“
თბილისი
იანვარი
2006

ადგილმდებარეობა

ტ. გრანელის ქუჩა

ჩერქეზიშვილის ქუჩა

ახალმშენებარე ობიექტის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ვ. ჩერქეზიშვილის (ყოფილ ბოჭორიძის) ქუჩაზე – №49. ეს ქუჩა იწყება ჩუღურეთში, გორკის ქუჩასთან და მთავრდება ა. ჩიქობქვას (ყოფილ საბჭოს) მოედნის ზემოთ ტ. გრანელის ქუჩის ხეივანთან. იქვე ზემოთ გერმანელების ყოფილი სასაფლაოა. ქუჩა ვიწროა. იგი ორივე მხარეს მჭიდროდ არის განაშენიანებული ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და გამოირჩევა მშვიდი, გაწონასწორებული რიტმით.

ჩერქეზიშვილის ქუჩა

საპროექტო ობიექტი, ქუჩის ბოლოსწინა სახლია ტ. გრანელის ქუჩის გადაკვეთასთან, ქუჩის კენტრიცხვებიან, ზედა მხარეს. ეს არის ქუჩის პერიმეტრზე, მაღალ ცოკოლზე მდგომი ერთსართულიანი, ეზოსკენ წაგრძელებული ნაგებობა, რომელზეც გათვალისწინებულია კიდევ ერთი სართულის დაშენება.

 აეროფოტო 1990-იანი წწ.

საპროექტო ტერიტორია

ამ უბანში სახელმწიფოს მიერ აღრიცხული არქიტექტურული ძეგლები არ არის. თუმცა საპროექტო ობიექტის მოპირდაპირე ლუწრიცხვებიან რიგში ტ. გრანელის ქუჩის გადაკვეთასთან დგას ფონური მნიშვნელობის მქონე, აგურის სახასიათო ფასადიანი, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი №56. საინტერესო ფასადები აქვთ აგრეთვე იქვე მდგომ №54 და №52 სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს.

განაშენიანების ისტორია

ამ უბნის მახლობლად XVIII ს-ში არსებობდა სოფლური ტიპის დასახლება – ახალსოფელი (ვახუშტი ბატონიშვილის რუკა – 1735წ.). XVIII ს-ის ბოლოდან მოიხსენიებოდა სოფ. კუკიად, რომლის ირგვლივ გაშენებული იყო სადედოფლო მამული. სოფ. კუკია და ჩუღურეთი თბილისს 1824 წ. შეუერთდა.

თბილისის ისტორიულ რუკებზე 1850-იან წლებამდე აქ, ისევე როგორც ჩუღურეთში, ქაოტური დასახლებაა გამოსახული. თბილისის 1859 წ. რუკაზე, აქ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე უკვე ჩანს პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩების რეგულარული განაშენიანების ჩანასახი, რომელიც არსებულ ბაღებზეა დაპროექტებული. ამავე დროიდან ამ უბანს კუკია ეწოდა.

ეს განაშენიანება აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრული იყო ავჭალის გზით, რომელზეც დაიკვალა ავჭალის ქუჩა – შემდგომში საბჭოს ქუჩა, დღეს ჩიქობავას და ჩიტაიას ქუჩები. თანდათან განაშენიანება ამ გზის ზემოთაც განვითარდა და სახელწოდება კუკია ჩვენთვის საინტერესო ამ ზედა მონაკვეთს დაერქვა.

ჩერქეზიშვილის ქუჩა ჩაისახა ავჭალის ქუჩის ზემოთ XIX ს-ის შუა ხანებში. მას თავიდან თუმანოვის II ქუჩა ერქვა. განაშენიანებული იყო ქუჩის მხოლოდ ერთი – ქვედა მხარე. მეორე – ზედა მხარეს კი მას გერმანელების ლუთერანული სასაფლაო ესაზღვრებოდა.

ამ უბანში ცხოვრობდნენ XIX ს-ის შუა ხანებში თბილისში ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტები. რომელთაც გარკვეულწილად განაპირობეს განაშენიანების რეგულარული ხასიათი. უბნის განაშენიანება განსაკუთერებით დაჩქარდა XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად. ამ ვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე მიხეილის და ვერეს ხიდების აგებამაც, რის შემდეგაც კუკია უშუალოდ დაუკავშირდა თბილისის ცენტრს.

XIX ს-ის შუა წლებამდე აქ შემორჩენილი იყო მოზრდილი ბაღები. თანდათან უბანი თბილისის განაშენიანებაში შევიდა და ამავე დროიდან აქ დაიკვალა ქუჩათა მოწესრიგებული ქსელი და დაიწყო უბნის ინტენსიური განაშენიანება (იხ. აქვე XIX-XX სს-ის თბილისის გეგმები, სადაც ჩანს ქუჩათა ქსელის განვითარება).

ქუჩას შენარჩუნებული აქვს უბნისთვის დამახასიათებელი გეგმარებითი ხასიათი და სტილი – ორ-სამსართულიანი განაშენიანების მშვიდი, დაწყნარებული რიტმი და ფსევდოკლასიცისტური სტილის აგურის შეულესავი ან შებათქაშებული ფასადები. ზოგ მათგანში ჩანს მსუბუქი ეკლექტიკური მიდრეკილებებიც.

სახლები № 52,54,56

საპროექტო ობიექტი

ქუჩის პერიმეტრზე მდგომი ნაგებობა ერთსართულიანია, ორქანობიანი. თუნუქით დახურული ქანობი ქუჩისაკენ არის დახრილი. ნაგებობა ეზოსკენ არის წაგრძელებული. სახლის ეს წაგრძელებული მონაკვეთი ცალი ქანობით არის გადახურული. სახლს გვერდიდან და უკან ეზო შემოფარგლავს. მარცხნივ ეზოში შესასვლელი მარტივი ფორმის, ლითონის ჭიშკარია.

სახლი №49

აგურით ნაგები შენობა ცოკოლის სასარდაფო სართულზე დგას. სახლის მარტივი სახის ფასადი შელესილია. სადარბაზოსთან მოწყობილია ლითონის მოაჯირიანი ერთსვლიანი, ქვის საფეხურებიანი კიბე. კიბის ზემოთ ბეტონით სხმული წინფრაა. ფასადზე დატანილია ასევე მარტივი ტიპის, სამი თარაზული სარკმელი. სარკმლების ქვემოთ ფასადის ზედაპირი მართკუთხა ფორმის ჩაღრმავებებით არის გაფორმებული. ცოკოლის ნახევარსართული თარო-შვერილით არის გამოყოფილი. აქ ორი მცირე ზომის მართკუთხა ღიობია დატანილი. როგორც ჩანს სახურავის ქანობის ძირს გასდევდა საშუალო სიმაღლის პარაპეტი, ნალესობაში გამოყვანილი თარო-ლავგარდანით. ამჟამად თავდაპირველი პარაპეტი ნალესობით არის დაფარული. გვერდებზე კი ფასადს აუყვება ნალესობაში გამოყვანილი თხელი პილასტრები.

სახლი მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, არ არის ღირებული და ამასთან ავარიულ მდგომარეობაშია – დეფორმირებულია სახლის უკანა მხარე.

ეზოში შესასვლელი რკინის ჭიშკრიდანაა, ნაგებობის მარცხენა ფლანგთან. მცირე ეზოს უკანა მხარე „გაჭედილია" ერთსართულიანი, არქიტექტურულად არაღიარებული სათავსებით, რომლებიც მიშენებულია გვერდით მდგომ მეზობელ ნაგებობებზე.

სახლი №49, ხედი ეზოდან

ეზოს მხრიდან რუსული Г- ს ფორმის წაგრძელებული მონაკვეთი შემოფარგლული იყო მარტივი ფორმის ხის ღია აივნით, რომლის ნაწილი ამჟამად შემინულია. სახლის ეს ნაწილი დეფორმირებულია. დაზიანებულია სახურავი, რომელსაც შეყენებული აქვს ბეტონის სვეტები. ცალქანობიანი სახურავის სხვენი ეზოსკენ გახსნილია და მოჩანს ხის ნივნივები.

ნაგებობას მარჯვენა გვერდიდან ეკვრის უსახო ფორმის ერთსართულიანი სახლი. მას ასევე შელესილი ფასადი აქვს, ორი მართკუთხა სარკმლით და ლილვის ფორმის ლავგარდანით გამოყოფილი პარაპეტით.

განაშენიანების ხასიათი და რეკომენდაციები

ჩერქეზიშვილის ქუჩის განაშენიანება არ განსხვავდება უბნის განაშენიანების ზოგადი სახისაგან. ეს არის ორსართულიანი განაშენიანების მშვიდი რიტმი – ერთ და სამსართულიანი სახლების არითმიული ჩანაცვლებებით.



საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარე სხვადასხვა რაკურსიდან
სახლები №52,54,56

ფასადების სტილისტური რეპერტუარი ძირითადად ფსევდოკლასიკაა – მსუბუქი ეკლექტიკური მიდრეკილებით. აქ არქიტექტურულად მკვეთრად გამორჩეული და მაღალი მხატვრული ღირებულებების მქონე ნაგებობები არ გვხვდება, თუმცა არსებული შენობების მნიშვნელოვანი რაოდენობა თავისთავად ღირებულია, როგორც გარკვეული არქიტექტურული სტილის მქონე ეპოქის გამომხატველი და საერთო ფონური სურათის შემქმნელი განაშენიანება.

სახლი №51

საპროექტო ტერიტორიის გვერდით დგას ახლადაგებული სამსართულიანი სახლი №51 აგურის შეულესავი ფასადით. ამ სახლის გარეგნული სახე მეტ-ნაკლებად ადაპტირებულია ამ ურბანულ გარემოსთან და არ არის მთლად დისონანსური არსებულ განაშენიანებასთან.

ვ. ჩერქეზიშვილის ქუჩა
ტ. ბრანელის ქუჩის კუთხიდან